



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

N 83

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**ქ. გარდაბანი**  
25.11.2024

83-06-4-202411251651



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ქავთარაძისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის №49 დადგენილებისა და საქართველოს სამხოს ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 18 ნოემბრის №153 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1**

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გიორგი ქავთარაძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3 000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - გიორგი შინჯიკაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გიორგი ქავთარაძე - 3 000 (სამი ათასი) ლარი, პ/ნ \_\_\_\_\_ ;

გიორგი შინჯიკაშვილი – 1500 (ათას ხუთასი) ლარი, 3/5

### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. № 6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

